რეცენზია
ასოცირებული პროფესორის კახაბერ ციმინტიას მონოგრაფიაზე: „ჩრდილოვანი ეკონომიკა: თეორია და პრაქტიკა“

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორმა **კახაბერ ციმინტიამ** გამოსცა ნაშრომი: **„ჩრდილოვანი ეკონომიკა: თეორია და პრაქტიკა“,** მონოგრაფია, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024წ., 123 გვ., ISBN 978– 9941-33-785-7.

ნაშრომის მეცნიერ-რედაქტორია: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი ეთერ ხარაიშვილი. რეცეზენტებია: ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოც. პროფ. ნინელი თევდორაშვილი და ეკონომიკის დოქტორი, სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ასოც. პროფ. თენგიზ ლაჭყეპიანი.

ჩრდილოვანი ეკონომიკის, განსაკუთრებით კი მისი მაღალი დონის არსებობა, ხელს უშლის ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ეკონომიკური სისტემის მდგრად ფუნქციონირებას, ვინაიდან იგი ამახინჯებს ეკონომიკურ ურთიერთობებს, ახდენს ლეგალური სოციალური ურთიერთობების დეგრადირება-კრიმინალიზაციას, ახალისებს კორუფციას და სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, რაც საბოლოო ანგარიშით ახშობს სამეწარმეო საქმიანობის სტიმულებს და უარყოფითად აისახება ეფექტიანობაზე. ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა-აღმავლობა, გრძელვადიან პერიოდში აუცილებლად იწვევს ეკონომიკური სისტემის გამართული ფუნქციონირების განმსაზღვრელი მექანიზმების დეგრადირებას და ეკონომიკის სუბიექტების საქმიანობის ეფექტიანობის შემცირებას, რასაც შედეგად მოჰყვება პროდუქციის გამოშვების მოცულობის შემცირება და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ადექვატური გაუარესება. ამიტომ მნიშვნელოვანია როგორც საქართველოში, აგრეთვე მსოფლიოში ჩრდილოვანი ეკონომიკაზე მოქმედი ფაქტორების, მისი გამომწვევი მიზეზების, ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზომვის მეთოდების, ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროში არსებული ტენდენციების შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩრდილოვან ეკონომიკასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევა, კერძოდ, საქართველოს რეალობაში არსებული მდგომარეობის ანალიზი, ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზომვის მეთოდების შეფასება, ჩრდილოვან ეკონომიკასა და ეკონომიკურ უსაფრთხოებას შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების გამოკვლევა, მოსახლეობის ცხოვრების დონეზე ჩრდილოვანი ეკონომიკის გავლენის შეფასება და ადექვატური რეკომენდაციების შემუშავება განაპირობებს ასოც. პროფესორის კახაბერ ციმინტიას მიერ კვლევის ობიექტად აღებული თემის განსაკუთრებულ აქტუალობას.

მონოგრაფიაში განხილულია ჩრდილოვანი ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების აქტუალური და სადისკუსიო საკითხები. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების დადგენის მიზნით გამოყენებული გაზომვის მეთოდების კლასიფიცირებას. ამ მიზნით აქცენტი გამახვილებულია ორ დიდ ჯგუფზე: მიკროდონის და მაკროდონის მეთოდებზე. ნაშრომში აღნიშნულია, რომ წარმოდგენილი მეთოდები განსხვავებულ მონაცემებს ეყრდნობიან და ხშირად განსხვავებულ შედეგებზეც გადიან, რაც განპირობებულია ჩრდილოვანი ეკონომიკის ფორმების მრავალფეროვნებით, გაზომვისთვის აუცილებელი ემპირიული მასალის მოპოვების სირთულით და ა. შ.. ნაშრომში ასევე შეფასებულია ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები მსოფლიოს რეგიონებსა და ცალკეულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. ამ მიზნით ნაშრომში მოყვანილია დიდი მოცულობის ფაქტობრივი მასალა. ნაშრომში განხილულია ოფშორების როლი ჩრდილოვან ეკონომიკაში, მისთვის ერთგვარი საფარის შექმნაში. ბოლო თავში შეფასებულია ჩრდილოვანი ეკონომიკის გავლენა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. დასაბუთებულია, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა განაპირობებს ეკონომიკის სტრუქტურის დეფორმაციას, ეკონომიკური აქტივობის კრიმინალიზაციას, შემოსავლების განაწილების სისტემის დამახინჯებას და მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავებას, სიღარიბის დონის ზრდასა და გაღრმავებას.

ამრიგად, წარმოდგენილ მონოგრაფიაში განხორციელებულია ჩრდილოვანი ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებების და მასთან დაკავშირებული პრობლემების საფუძვლიანი კვლევა.

შესაბამისად, იგი შეიძლება გამოყენებული იქნას საქართველოში ეკონომიკური ურთიერთობების გარდაქმნა-სრულყოფისთვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის, ეკონომიკაში არსებულ გამოწვევებზე ადექვატური რეაგირებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი სასარგებლო იქნება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის, აგრეთვე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

დემნა კვარაცხელია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი